პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 159 (3136) 17 1966 წ. აგვისტო. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ნახტომი.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტულმა ორგანიზაციებმა, სტუდენტთა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ „ქარიშხალამ" რამდენადმე გააუმჯობესა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მომზადების საქმე.

ამასთან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაყენების საქმეში არსებითი ნაკლოვანებანია. მეტწილ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არ სრულდება მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო პროგრამა, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულია სტუდენტთა უმნიშვნელო რაოდენობა. რესპუბლიკის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების ბაზებში დღემდე ჯერ კიდევ შექმნილი არ არის სპორტული ოსტატობის ამაღლების გაერთიანებული ჯგუფები. მთელ რიგ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წლიდან წლამდე ვერ სრულდება მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების გეგმა. უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორები, აგრეთვე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს სასპორტო ნაგებობათა ქსელის მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში მოსწავლე სპორტსმენებს როდი აქვთ შექმნილი საჭირო პირობები იმისათვის, რომ წარმატებით შეუხამონ სწავლა სპორტში მეცადინეობას. ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება სამედიცინო კონტროლი სხვადასხვა სპორტულ სექციასა და განყოფილებაში ჩაბმულ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის.

რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებანი, რომელთა სისტემაში შედიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცეს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და უზრუნველყონ, რომ ამ სასწავლებლებმა შეასრულონ ფიზიკური აღზრდისა და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და პროფსაბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაშია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საქართველოს სტუდენტთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ქარიშხალას" საბჭოს დაავალეს გადაჭრით გააუმჯობესონ უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, კიდევ უფრო აამაღლონ მოსწავლე სპორტსმენთა სპორტული ოსტატობა.

ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს დაავალეს უზრუნველყონ, რომ მთელი წლის განმავლობაში საწვრთნელი მუშაობა წარმოებდეს მოსწავლე სპორტსმენებთან. წინადადება მიეცათ მათ გადასინჯონ და უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ სექციებს მიამაგრონ საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრები, სასპორტო ბაზები, გამოუყონ მათ ხარისხოვანი სპორტული ინვენტარი და მოწყობილობა, მათ დაევალათ აგრეთვე გააუმჯობესონ სასწავლებელთა სასპორტო ბაზების მოწყობა, პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა თვით მოსწავლეთა ძალებით. უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ახალი შენობების მშენებლობისა და არსებული შენობების გაფართოების დროს უნდა გაითვალისწინოთ სასპორტო ნაგებობანი მოსწავლეთა შორის სასწავლო მეცადინეობათა მოწყობისა და მათი სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, ყოველწლიურად მოაწყონ სტუდენტთა რესპუბლიკური საზაფხულო სპორტული ასპარეზობანი სულ ცოტა 20 სახეობის სპორტში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შედის. ამ მიზნით წინადადება მიეცა მათ გაითვალისწინონ 18 დღემდე ხანგრძლივობის საწვრთნელ შეკრებათა მოწყობის ხარჯები, რათა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპორტული გუნდები მოამზადონ სსრ კავშირის, სამინისტროების, სტუდენტთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ქარიშხალას" ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების პირველობაში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა შორის მატჩ-შეხვედრებში მონაწილეობისათვის; მოსწავლე სპორტსმენებს, ნაკრები გუნდების წევრებს შეუქმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ წარმატებით შეუხამონ სწავლა საწვრთნელ მეცადინეობას და ხარისხოვნად მომზადებას სპორტული ასპარეზობისათვის, რისთვისაც მოსწავლე სპორტსმენები გადაიყვანონ სწავლებისა და გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკზე სტიპენდიის შენარჩუნებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაავალეს:

1966 წლის ბოლომდე დაამთავროს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზის ხელახლა მოწყობა;

გააუმჯობესოს სპორტულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობა თბილისის სტუდენტთა ქალაქში;

საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება მიეცა განიხილოს საკითხი საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთათვის 1967 წელს კომპლექსური საბავშვო სპორტული სკოლის გახსნის შესახებ.

1966 წლის 1 ოქტომბრამდე დაამთავროს სტუდენტთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ქარიშხალას" ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის რემონტი და რეკონსტრუქცია.

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა, სოფლის მეურნეობისა და დამზადების, მედიცინის მუშაკთა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის, გორისა და თელავის საქალაქო კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული საქმიანობისადმი, გაუღიდონ მათ ასიგნებანი სპორტული მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოს საჭირო სამკურნალო-სამედიცინო პერსონალით იმ სტუდენტებისადმი სათანადო სამედიცინო კონტროლის განხორციელებისათვის, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს ეწევიან და სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების სპეციალურ მეცადინეობათა მოწყობისათვის.

(საქინფორმი).



## ბრინჯაოს მედლის მფლობელი

ნიჭიერი მძლეოსანია თბილისის დინამოელი გურამ გუდაშვილი. სპეციალისტები ბადროუს ტყორცნაში მას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ჭაბუკმა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი, მაგრამ მოლოდინი თითქოს ვერ გაამართლა — ერთ დონეზე კარგა ხანს გაჩერდა მისი მაჩვენებლები. და აი, წლეულს გურამი, ფეხბურთელთა ენით რომ ვთქვათ, „ისევ ათამაშდა" — ორჯერ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, ამას წინათ დნეპროპეტროვსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში კი მხოლოდ ლენინგრადელ ვ. ტრუსენიოვსა და ვილნიუსელ ვ. იარასს ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სპორტსმენის პოტენციალი კი მეტს გვპირდება. ახლა გურამი საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი კანდიდატია.

სურათზე: გ. გუდაშვილი.

## დილოსტატთა ფინიში

**სანტა-მონიკა, 16 აგვისტო.** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ბოლო ტურში სპასკიმ მოუგო დონერს. ფიშერ — პეტროსიანისა და ლარსენ — პორტიშის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ტურნირში 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა სპასკიმ და მას გადაეცა I პრიზი — 5000 დოლარი. მომდევნო ადგილებზე არიან ფიშერი (11), ლარსენი (10), პორტიში და უნციკერი (9,5-9,5), პეტროსიანი (9).

●

## სარეკორდო „მოსავალი"

*პორტილოში (ჩილი) დამთავრდა მსოფლიოს XXVI ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. არნახულ წარმატებას მიაღწიეს საფრანგეთის სპორტსმენებმა, რომლებმაც სამშობლოში 16 მედალი წაიღეს (აღსანიშნავია, რომ ოქროს 8 მედლიდან ფრანგებმა 6 დაისაკუთრეს). ფრანგი მოთხილამურეების ესოდენ დიდი წარმატება სარეკორდოა. მათ 1 მედლით გააუმჯობესეს ავსტრიელი სპორტსმენების უმაღლესი მიღწევა (როგორც ცნობილია, ავსტრიელებმა 4 წლის წინ შამონში 15 მედალი დაიმსახურეს).*

*პროგრამის უკანასკნელ სახეობაში — სპეციალურ სლალომში I ადგილი დაიკავა იტალიელმა კ. სენონერმა. ფრანგი ჟ. კ. კილი VIII ადგილზე გამოვიდა, მაგრამ ამის მიუხედავად მან მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ალპიურ სამჭიდში (სწრაფდაშვებაში I ადგილი, გიგანტურ სლალომში — V).*

*მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში გახდნენ ვაჟთა შორის ჟ. კ. კილი, ქალებში კი — მ. გოიჩელი (ორივე სპორტსმენი საფრანგეთიდანაა).*

●

## 105 : 104

კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა მესინადან სიცილიის მეორე ქალაქ რაგუზუში გადაინაცვლეს. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებისა და „გალფ-ოილის" (აშშ) მატჩი. ჩეხებმა მესინაში დამარცხებისთვის რევანში აიღეს და მეტოქეს მინიმალური უპირატესობით სძლიეს — 105:104.

სამაგიეროდ, ამერიკელმა კალათბურთელებმა სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრაში იმარჯვეს და მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 84:75 (42:33).

## „ა" კლასი I ჯგუფი

**მოსკოვი, 16 აგვისტო.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და ოდესის „ჩერნომორეცი".

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:0.

## დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა" და როსტოვის არმიელთა დუბლშემადგენლობანი.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ფეხბურთი

● **მალაგა (ესპანეთი), 16 აგვისტო.** აქ დამთავრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ოქროს ნაპირის თასზე". ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა პორტუგალიის „ბენფიკა" — 2:1. მართალია ანგარიში ეუსებიომ (11-მეტრიანი საჯარიმოდან) გახსნა, მაგრამ შემდეგ გრივსმა და რობერტსონმა ორი გოლი გაიტანეს და გამარჯვება მოუტანეს „ტოტენჰემ ჰოტსპურს".

## ასჯერი ამბავი

● **პოზნანი, 16 აგვისტო.** 120 წუთი გაგრძელდა პოლონეთის თასის ფინალური მატჩი ვარშავის „ლეგიასა" და ზაბჟეს „გურნიკს" შორის. გაიმარჯვა „ლეგიამ" — 2:1.

● **ლონდონი, 16 აგვისტო.** ინგლისური ფეხბურთის ახალი „ვარსკვლავი", ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი 21 წლის ა. ბოლი (იგი „ბლეკპულში" თამაშობდა) 110.000 გირვანქა სტერლინგად იყიდა ინგლისის თასის მფლობელმა „ევერტონმა". ბოლის შესასყიდად გაღებული თანხა სარეკორდოა ინგლისის ფეხბურთისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუდენტური სპორტის

## შენიშვნები სტუდენტთა საკავშირო V თამაშებზე

### იმედის მომგვრელი ჰორიზონტი

სტუდენტთა წლევანდელი საკავშირო თამაშები არსებითად განსხვავდებოდა მანამდე გამართულ ამგვარ ასპარეზობათაგან. საქმე ის არის, რომ თუ წინათ პირველობისთვის ცალკეულ უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ამჯერად ბრძოლა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სტუდენტთა ნაკრებ გუნდებს შორის გაჩაღდა. დებულებით, სპორტთამაშებში გამარჯვებული გუნდები 7 ჩასათვლელ ქულას იღებდნენ, II ადგილებზე გასულნი — 5 ქულას, III — 4-ს, IV — 3-ს, V — 2-ს, VI — 1-ს. ასეთივე შეფასება ეძლეოდათ მათ, ვინც პირად პირველობაში საპრიზო ადგილებს მოიპოვებდნენ. ასე რომ, ვთქვათ, მძლეოსნობაში, ცურვასა თუ რიგ სხვა სახეობებში, ამა თუ იმ ძლიერ კოლექტივს 100 და მეტი ქულის მოპოვებაც კი შეეძლო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ყველა კოლექტივი როდი შეძლებდა მეტოქეებთან თანაბარი ბრძოლის გამართვას. იყო ერთი კაზუსიც. მაგალითად, მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა ბრწყინვალე გამოსვლამ ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციას უმაღლესი (7) ჩასათვლელი ქულა მისცა. ამავე ასპარეზობაში მოსკოვის დელეგაცია 2 გუნდით იყო წარმოდგენილი. II–III ადგილებზე გასვლის შედეგად მათ 9 ჩასათვლელი ქულა დააგროვეს. უნდა ითქვას, რომ ანალოგიურ შემთხვევებს მრავლად ჰქონდა ადგილი და ზოგიერთი გუნდი ცოტად თუ ბევრად დაზარალდა, ზოგი კი პირიქით, ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა. საერთოდ, ასპარეზობის წლევანდელ დებულებაში ბევრი რამ გახლდათ სადავო, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პირველი ცდა იყო. იტყვიან, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სტუდენტთა მომავალი თამაშების ორგანიზატორები ამას გაითვალისწინებენ და დებულებაში შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ.

საქართველოს სტუდენტთა დელეგაციამ სწორედ ამ რთულ პირობებში მიაღწია კარგ შედეგს, ჩამორჩა მხოლოდ მოსკოვის, რსფსრ-ს და უკრაინის გუნდებს, ჩამოიტოვა საკმაოდ დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ბელორუსიისა და ლენინგრადის ძლიერი კოლექტივები და უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტროთა ნაკრებ გუნდებს შორის IV საპრიზო ადგილი დაიკავა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სპორტული დელეგაცია საერთო ჩათვლაში ბოლო დღემდე III ადგილს ინარჩუნებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დამთავრდა შეჯიბრება კიდევ რამდენიმე სახეობაში, IV ადგილზე გადაინაცვლა. ეს ჩვენთვის არც ისე მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები სწორედ ამ სახეობებში (ცურვა, საგზატკეცილო ველორბოლა და სხვ.) მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სხვებს. გვინდა შევნიშნოთ, რომ მანამდე დიდ კომპლექსურ ასპარეზობებში (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების გამოკლებით) საქართველოს სპორტული დელეგაცია, როგორც წესი, V საპრიზო ადგილს იკავებდა.

არ შევცდებით, თუ მინსკის სტუდენტთა თამაშებს ხალხთა მცირე სპარტაკიადას ვუწოდებთ, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვა სპორტულ საზოგადოებათა სტუდენტი-სპორტსმენებიც. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ თამაშებში არ გამოსულან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოწინავე სპორტსმენები, რომლებიც ამ დროს სხვა სარბიელზე ცდიდნენ ძალას ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

ნათელია ერთი გარემოება — ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს კარგი შანსები გააჩნიათ სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაშიც, თუ ამთავითვე სერიოზულად და გულმოდგინედ შეუდგებიან მზადებას. როცა ამას ვამბობთ, ჩვენ სრულიადაც არ გვინდა გადაჭარბებით შევაფასოთ საქართველოს სტუდენტთა მიღწევები, პირიქით, აღნიშნული შეჯიბრებისას ერთხელ კიდევ გამოვლინდა მრავალი ხარვეზი, რომელთა აღმოუფხვრელად შეუძლებელია მიაღწიო სტაბილურ შედეგებს ისეთ დიდ ფორუმზე, როგორიც მომავალი, სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაა.

მინსკში საქართველოს წარმომადგენლები გამოვიდნენ კარგი, საშუალო და ცუდი შედეგებითაც. მივყვეთ რიგით.

### ვინ გაგვახარა?

— ჩვენ! — ასეთი პასუხის მოცემა შეუძლიათ საქართველოს კალათბურთელ ვაჟებსა და ქალებს, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებს. აკრობატებსა და მოკრივეებს, ფრენბურთელ ქალებსა და ხელბურთელ ვაჟებს, მსროლელებს, მოფარიკავეებს, მოჭადრაკეებს, მაგიდის ჩოგბურთელებსა და ძალოსნებს. გუნდურ შეჯიბრებაში I ადგილზე გავიდნენ მოჭადრაკეები, კალათბურთელი ვაჟები და ქალები, რომლებმაც საქართველოს დელეგაციის „ყულაბაში" 7-7 ქულა „ჩააგდეს". I ადგილები მოიპოვეს აგრეთვე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა (42 ქულა) და მოფარიკავეებმა (32). ხედავთ, რა შეუსაბამობაა? გუნდს, სადაც 12 ან 6 კაცი გამოდის, დიდი-დიდი 7 ქულის მოცემა შეუძლია, ხოლო იქ, სადაც შეჯიბრებები პირად პირველობაში გამარჯვებისა თუ მარცხის მიხედვით ჯამდება, გაცილებით მეტი ქულის დაგროვება შეიძლება. II საპრიზო ადგილი მოიპოვეს მსროლელებმა (34), კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა (32), აკრობატებმა (26) და ფრენბურთელმა ქალებმა (5). მოკრივეები (30), მაგიდის ჩოგბურთელები (4) და ხელბურთელი ვაჟები (4) III ადგილზე გავიდნენ, ხოლო ძალოსნები — მეხუთეზე (17). არაკვალიფიციური მსაჯობა რომ არა, ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავენი მეტ საპრიზო ადგილს დაიკავებდნენ და შესაბამისად მეტ ჩასათვლელ ქულასაც მოიპოვებდნენ, მაგიდის ჩოგბურთელებიც უკეთეს ადგილს მოიხვეჭდნენ, სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი, თბილისელი ს. სარხოიანი რომ ყოფილიყო მათ რიგებში (იგი უცხოეთში იყო). მოლოდინს გადააჭარბეს მოკრივეებმა და ფრენბურთელმა ქალებმა, რომლებმაც ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს მეტად ძლიერ მოწინააღმდეგეებს.

### ქულები მოგვცეს, მაგრამ...

... ეს საკმარისი არ იყო, ვისგან მოვითხოვდით მეტს? — მძლეოსნებისგან (დააგროვეს 60 ქულა), ტანმოვარჯიშეებისგან (23), ველოსიპედისტებისგან (სატრეკო — 15,5, საგზატკეცილო რბოლა — 5) და მოცურავეებისგან (16). საერთო ჯამში მძლეოსნებმა VIII ადგილი დაიკავეს, ტანმოვარჯიშეებმა — VII, მოცურავეებმა — X, ხოლო ველოსიპედისტებმა (ტრეკზე და საგზატკეცილო რბოლაში) — VIII. ტრეკზე მრბოლელებიდან მხოლოდ 7-მა გუნდმა შეძლო ჩათვლის მიღება. ჩვენი ველოსიპედისტები ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ, საგზატკეცილო რბოლაში 8 გუნდმა მოიპოვა ჩასათვლელი ქულა. ჩვენები ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდნენ.

სავალალო მდგომარეობა გვაქვს ცურვაში. მოცურავეთა მიერ მოპოვებული 16 ქულა წვეთია ზღვაში. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ლიტვამ დააგროვა 46 ქულა, უკრაინამ — 100, რსფსრ-მ — 126, მოსკოვმა — 189. ჩვენს მოცურავეებს რომ საკადრისი მეტოქეობა გაეწიათ თუნდაც უკრაინელებისთვის, ეს უკანასკნელები ასპარეზობის ბოლო დღეს ასე იოლად როდი გაგვისწრებდნენ საერთო ჩათვლაში. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინისა და საქართველოს ტანმოვარჯიშეთა მიმართაც: უკრაინამ დააგროვა 53,5 ქულა (I ადგილი), ჩვენ — 23 (VII ადგილი).

ტანმოვარჯიშეებისაგან მეტს მოვითხოვთ, მეტსაც მოველოდით, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ეს მოლოდინი ვერ გაამართლეს.

ახლა მძლეოსანთა შესახებ. საქართველოს სპორტსმენებმა ქულები საკმაოდ დააგროვეს. გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ორ საგულისხმო ფაქტზე, — მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის ნიჭიერი ბირთვისმტყორცნელი მ. ოყროშიძე მინსკში მაშინ ჩამოვიდა, როცა შეჯიბრება ამ სახეობაში უკვე დამთავრებული იყო. მას კი I ადგილის დაკავების შანსი ჰქონდა (დაიკარგა 7 ქულა). რა ფასი ჰქონდა მინსკში მის ჩამოსვლას? საქართველოს ნიჭიერმა ათჭიდელმა ი. დიაჩკოვ-დუმბაძემ 110 მ თარჯრბენში VI ადგილი დაიკავა და გუნდს 1 ქულა მისცა. რა თქმა უნდა, შეეძლო კიდევ გამოსულიყო ერთ რომელსამე სახეობაში, სთხოვეს კიდეც ეს, მაგრამ თავი აღარ შეიწუხა, შეუძლოდ ვარო. მართლაც რომ უკადრისი საქციელია სტუდენტისა, რომლის სანუკვარი ოცნება სწორედ ახალგაზრდებს შორის ასპარეზობა, გამარჯვება, რეკორდის დამყარება უნდა იყოს.

### ის, რაც კრიტიკას ვერ უძლებს

ჩვენმა წყალბურთელებმა და ხელბურთელმა ქალებმა ზონალურ თამაშების ფინალში ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვეს და მინსკამდეც ვერ მიაღწიეს. ჩოგბურთელებმა გუნდური ასპარეზობა მინსკში IX, ხოლო ფრენბურთელმა ვაჟებმა ბოლო, VIII ადგილით (სპორტთამაშების ფინალში 8-8 გუნდი მონაწილეობდა) დაამთავრეს. ცუდად გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები მხატვრულ ტანვარჯიშშიც, ჩვენი სპორტული დელეგაციისთვის არც მათ მოუტანიათ არც ერთი ქულა.

ისეთი სპორტული ტრადიციების მქონე რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა, ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია ზემოაღნიშნულ სახეობებში შერცხვენა. დავუშვათ, სტუდენტ წყალბურთელთა გუნდი ახლახან ჩამოყალიბდა და ახალბედა სპორტსმენებს დიდ პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ, მაგრამ ქალთა ხელბურთში ხომ უკვე კარგა ხანია დადგა რამდენადმე მაინც წარმატების დრო. ჩანს, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მწვრთნელები ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრს არაფერს აკეთებენ.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩოგბურთელთა წარუმატებლობამ. ჩანდა, რომ გუნდი ისე არ იყო დაკომპლექტებული, როგორც წესი და რიგია. შეიძლება შემოგვედაონ, ნაკრების შემადგენლობაში არ თამაშობდნენ მეტრეველი, კაკულია და სხვა მოწინავე სპორტსმენებიო, მაგრამ მხოლოდ ისინი უნდა წყვეტდნენ გუნდური ბრძოლის ბედს?

ცალკე მსჯელობის საგანია ფრენბურთელ ვაჟთა გუნდის გამოსვლა მინსკში. მათ 7 თამაშიდან შვიდივე წააგეს და მხოლოდ ორ შეხვედრაში შეძლეს 3 პარტიის მოგება. ყოვლად სამარცხვინო შედეგია. საქმე ის არის, რომ ფინალამდე ფრენბურთელთა კოლექტივი „სისხლისგან დაცლილი" მივიდა. თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის (ჩვენმა ფრენბურთელებმა აქ კარგად ითამაშეს) შემდეგ ისინი მაშინვე გაეშურნენ სტუდენტთა თამაშების ზონალურ შეხვედრებზე ოდესაში (იქ I ადგილი დაიკავეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს), იქიდან კი მინსკში გაემგზავრენ. შეჯიბრებათა ამ შეუწყვეტელი ნაკადის მანძილზე ზოგიერთი მოთამაშე დაშავდა და გუნდს გამოეთიშა, ხოლო მან, ვინც კოლექტივში დარჩა, ვეღარ შეძლო ფინალურ ტურნირში მეტოქეებთან შედეგიანი ბრძოლის გამართვა. საერთოდ, ჩვენები ისე თამაშობდნენ, გეგონებოდათ, სასჯელს იხდიანო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მათ მთლიანად დაკარგეს კოლექტივიზმის გრძნობა, ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილი. ერთი სიტყვით, კოლექტივი აღარაა მონოლითური. პირიქით, შეიძლება ითქ-



სურათზე: ი. კოზელსკი ასპარეზობისას.

# მაღალი შედეგები გვახარებს

**ლენინგრადი** (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პროფტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადა, რომელშიც 3 ათასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. აი, სწორედ მათი წარმატებების შესახებ გვსურს მოვუთხროთ მკითხველს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფრენბურთელ ვაჟთა წარმატება. სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას გარდაბნის სასოფლო პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდი იცავდა. ქართველმა ფრენბურთელებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს. გათამაშების ფინალში ისინი შეხვდნენ უკრაინელ მექანიზატორებს. 2-საათიანმა ბრძოლამ გამარჯვება ჩვენ გუნდს მოუტანა, რომელმაც მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. საქართველოს ფრენბურთელთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ა. გოლიაშვილი და ე. შაგინიანი.

ფრენბურთელებს არც კალათბურთელი ვაჟები ჩამორჩნენ. მათაც პირველი ადგილი და გამარჯვებულთა მედლები დაიმსახურეს.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ფეხბურთელთა გუნდების ფინალური მატჩი, რომელშიც გამოდიოდნენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები. მართალია, პროგრამის ამ სახეობაში საქართველოს წარგზავნილები ვერ დადგნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ II ადგილიც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენმა გუნდმა გადამწყვეტ შეხვედრა რუსეთის ფედერაციის ძლიერ კოლექტივთან წააგო ანგარიშით 1:2.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ აკრობატებზეც. უკვე რამდენიმე წელია, რაც რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები კ. მიქიაშვილი, და ა. თედეევი. ახალგაზრდობის მიუხედავად, ეს წყვილი კარგად ასრულებს რთულ ვარჯიშებს. ისინი ამჯერადაც ოსტატთა პროგრამით ვარჯიშობდნენ. სულ უმნიშვნელო შეცდომამ ჩვენი რესპუბლიკის აკრობატთა დუეტს ოქროს მედლები დააკარგვინა. მაგრამ ასეთ დიდ შეჯიბრებაში არც „ვერცხლის მედალოსნობაა" ურიგო. ხტომებში II საპრიზო ადგილი დაიკავა დ. პატიაშვილმა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა დ. ონაძომ — III.

აკრობატთა საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები II ადგილზე დარჩა. სამწუხაროდ, მედლებს არ აძლევენ პირველთანრიგოსან აკრობატებს, თორემ ჩვენი სპორტსმენები აქაც ისახელებდნენ თავს. ნ. მახარობლიძემ და ვ. დელიბალტოვმა I ადგილები დაიკავეს.

როგორც ხედავთ, ლენინგრადში საქართველოს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ კმარა. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა საბჭომ კიდევ მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება სპორტის ზოგიერთ ჩამორჩენილ სახეობაზე იმ ანგარიშით, რომ მომავალ სპარტაკიადაზე უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ.

ნ. კოსტავა.

[illegible]

### ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებმა ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ცხინვალის სპორტულ ბაზებზე გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები.

ბავშვთა სპორტული სკოლის ფრენბურთის მოედანზე „განთიადისა" და „კრასნაია ზვეზდას" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს (3:1) განთიადელებმა.

ქალაქის სტადიონზე დიდძალი მაყურებელი დაესწრო ხე-ტყის კომბინატისა და „კრასნაია ზვეზდას" ფეხბურთელთა თამაშს. მატჩი დამთავრდა უკანასკნელის გამარჯვებით — 2:1.

ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ოსტატობის კანდიდატმა შაშში ვ. გობოზოვმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 12 დაფაზე და ყველა პარტია მოიგო. პირველთანრიგოსანმა ო. გასიევმა კი 10 დაფაზე გამართა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში.

ვ. მელქოევი.

# მასპინძლები — II ადგილზე

ბათუმის სპორტულ ბაზებზე 2 კვირას გრძელდებოდა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების I რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და ცენტრალური ნავთობგადამტვირთავი ბაზის, რუსთავის ქიმიური კომბინატისა და სინთეზური ბოჭკოების ქარხნების, ქუთაისის ლიტოფონის, თბილისის გაზოაპარატის, მახარაძის მადაროთა სამმართველოს სპორტსმენები. პროგრამაში იყო სპორტის 7 სახეობა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლიტოფონის ქარხნის სპორტსმენებმა. ისინი პირველები იყვნენ აგრეთვე კალათბურთში, ჭადრაკსა და შაშში. სპარტაკიადის მეორე პრიზიორები — ნავთობგადამმუშავებლები გამარჯვებულნი გამოვიდნენ ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობასა და მაგიდის ჩოგბურთში. რუსთავის ქიმიური კომბინატის სპორტსმენებმა მოიპოვეს III ადგილი.

სპარტაკიადის 79 მონაწილემ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები. ტურნირის შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც სექტემბერში პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

ი. ხაჭაპურიძე? 

ი. ხაზეიშვილი.

# ამაღლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას ჩვენს ქალთა გუნდზე, სადაც, მართალია, განსაკუთრებით მაღალი კლასის მოთამაშეებს ვერ ვხედავთ, მაგრამ ფრენბურთელ ვაჟთა „ექსორიაქმნილმა“ მწვრთნელმა ა. თევოსიანმა მოკლე დროში შეძლო მონოლითური და ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შექმნა. ქალებმა II ადგილი დაიკავეს. ვაჟთა გუნდიდან თევოსიანს გარდა კიდევ ერთი მწვრთნელი წავიდა. ისინი ე. ამირანაშვილმა შეცვალა, მაგრამ საქმე მაინც არ მიდის წინ. რატომ? ბოროტი ენები ამბობენ, მოთამაშეებმა და ახალმა მწვრთნელმა ერთმანეთს ვერ გაუგესო. შეიძლება ასეც იყოს. სხვათა შორის, მინსკის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ჩვენი ფრენბურთელები III სართულზე ცხოვრობდნენ, ხოლო მათი მწვრთნელი მეუღლით (?!) I სართულზე, და ამბობენ, იგი თავის აღსაზრდელების ძალზე იშვიათი სტუმარი იყოო. ყოველივე ამის შემდეგ უნებურად ვიფიქრეთ, რომ გუნდი უნდა გადახალისდეს. ასეთი კოლექტივით სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე ფონს ვერ გავალთ.

* * *

სტუდენტთა წლევანდელ თამაშებზე მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ აწარმოა არაოფიციალური საერთო-გუნდური ჩათვლა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო საბჭოებს შორის. ჩვენი რესპუბლიკა VI ადგილზე გავიდა. ეს იმან განაპირობა, რომ საქართველოს სპორტულ დელეგაციაში იყვნენ სხვა სპორტსაზოგადოებათა წევრები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სხვა რესპუბლიკების გუნდებში რატომღაც „ბურევესტნიკის“ სახელით გამოდიოდნენ „დინამოს“, არმიის სპორტული კლუბებისა და სხვა საზოგადოებათა წევრები.

კვლავ შევნიშნავთ, რომ მინსკში საქართველოს სპორტული დელეგაცია კარგად გამოვიდა. საერთო IV ადგილი ამის უტყუარი დასტურია. მაგრამ თავი იჩინა ხარვეზებმაც, რომელთა გამოსწორება სტუდენტური სპორტის მესვეურთა უპირველესი ამოცანაა.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მინსკი — თბილისი.

# მედალოსნები

## ოქრო

**ძალოსნობა** — დ. მანიძე (ქვემსუბუქი წონა)—352,5 კგ. მან თამაშების სამი რეკორდი დაამყარა: სამჭიდში, ატაცსა (107,5) და აკვრაში (140).

**თავისუფალი ჭიდაობა** — გ. ყვარელაშვილი (ქვემსუბუქი წონა), ზ. ბერიაშვილი (მსუბუქი), თ. ასლამაზიშვილი (ქვესაშუალო).

**აკრობატიკა** — ლ. ფოკინა (ბატუტზე ხტომა).

**კლასიკური ჭიდაობა** — კ. ლუდუნიშვილი (საშუალო წონა).

**ფარიკაობა** — ნ. ახათიანი (ესპადრონი), გ. ანდრიაძე (რაპირა, ვაჟები), გ. კოსტავა (დაშნა).

**ტყვიის სროლა** — ს. ზასკო (მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ წოლელა სროლა ქალებში).

**კრივი** — ვ. ცერცვაძე (I ქვესაშუალო წონა), მ. მამამთავრიშვილი (I საშუალო).

**ჭადრაკი** — ვაჟები — რ. ჯინჯიხაშვილი, თ. ლომაია, თ. კიკიანი, ა. ბოკუჩავა, მ. თხელიძე; ქალი — ც. კახაბრიშვილი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი).

**მძლეოსნობა** — გ. გუდაშვილი (ბადრო), ლ. დარახველიძე (სამხტომი), ი. კოზელსკი (400 მ თარჯრბენი).

**კალათბურთი** — ქალები — ც. ჯანელიძე, ნ. ჯაფარიძე, ლ. ქველიძე, გ. გრიგორიანი, მ. სურგულაძე, ა. კოვზირიძე, გ. სანაძე, ნ. გამყრელიძე, ნ. დურმიშიძე, ჟ. არუთინოვა, ი. ახრახაძე, ვ. მჭედლიძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი); ვაჟები — ვ. ლომაძე, ა. საკანდელიძე, თ. კაკაურიძე, გ. მინაშვილი, ა. ლეჟავა, ს. კოვალენკო, ი. ლეჟავა, რ. მანაგაძე, გ. ჯუღელი, ლ. ჩხიკვაძე, ს. გუბა, ე. მაისურაძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი).

**სპორტული ტანვარჯიში** — კ. გელოვანი (ვაჟთა შორის ბჯენით ხტომებში).

## ვერცხლი

**თავისუფალი ჭიდაობა** — ტ. ალიბეგაშვილი (მჩატე წონა), ს. ქარსაულიძე (ქვემსუბუქი), შ. ლომიძე (ქვემძიმე).

**აკრობატიკა** — თ. ხოდოევი და ა. სლივკო (ვაჟთა წყვილებში).

**კლასიკური ჭიდაობა** — ზ. უგრეხელიძე (მჩატე წონა).

**ტყვიის სროლა** — ო. კვირიკაშვილი (50 მ მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან — ვაჟები), მ. მეგრელიშვილი (მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ სამი მდგომარეობიდან სროლაში — ვაჟები).

**მძლეოსნობა** — კ. გორძემაშვილი (შუბის ტყორცნა), თ. მდივანი (სიმაღლეზე ხტომა), რ. მამალაძე, ა. ანტონოვი, ჯ. სხულუხია, ი. კოზელსკი (ვაჟთა ესტაფეტა 4 × 100 მ).

**ფრენბურთი** — ქალები — ც. აბუაშვილი, ი. ბუდეშსკაია, ვ. პერეკრესტოვა, ბ. ზურაბიშვილი, ლ. რუმიზოვა, ვ. ხამურატიძე, ნ. რუხაძე, ლ. ვარდიშვილი, ლ. შევცოვა, გ. გოლოროვა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი).

## ბრინჯაო

**მაგიდის ჩოგბურთი** — ვაჟები — თ. რამაზაშვილი, ა. გიკაშვილი, გ. მელაძე; ქალები — რ. მკრტჩიანი, ბ. პერელმანი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი).

**აკრობატიკა** — დ. დუბელი (ბატუტზე ხტომა), ჟანა მელოიანი და ა. მალოიანი (შერეულ წყვილებში).

**კლასიკური ჭიდაობა** — დ. დავითაია (უმჩატესი წონა), ო. ეგაძე (მსუბუქი), თ. თარგამაძე (ქვესაშუალო), თ. ქურციკიძე (ქვემძიმე), მ. ჩიბურდანიძე (მძიმე).

**ფარიკაობა** — მ. კოხრეიძე (რაპირისტ ქალებში).

**ტყვიის სროლა** — მ. ღვინერია (50 მ მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან — ქალებში).

**კრივი** — ჯ. კვანტალიანი (I ქვესაშუალო წონა), რ. აკოფოვი (II საშუალო), რ. მუკოიანი (ქვემსუბუქი), მ. მარქარიანი (მსუბუქი).

**მძლეოსნობა** — ი. დელა-როსა (20 კმ რბენა), ლ. ტულუში (ქალთა ბადრო), ნ. გაბეხაძე, თ. როჟმანოვა, ლ. შუმილინა, გ. კონონენკო (ქალთა ესტაფეტა 4 × 100 მ).

**ცურვა** — ვ. ჩოლარია (200 მ ბრასით).

**საგზატკეცილო ველორბოლა** — ა. ჩერნოუსოვი (100 კმ ჯგუფურ რბოლაში).

**ხელბურთი** — ვაჟები — ა. ხუციშვილი, დ. რუხაძე, ჯ. ბაგრატიონი, ჯ. ცერცვაძე, თ. ანთაძე, ა. ექსეულიძე, თ. ზარდალიშვილი, ბ. კოპალეიშვილი, ზ. ბუნაძე, თ. გაზდელიანი, ჯ. ზაქარიაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი).

**სპორტული ტანვარჯიში** — ვ. ადამაშვილი (ქალთა შორის ბჯენით ხტომებსა და ნაირსიმაღლის ორძელზე), ნ. მაკალათია (ღერძი).



სურათზე: მსოფლიოს ჩემპიონი ომარ ფხაკაძე სტარტზე გასვლის წინ.

ფოტო ვ. გენგიურისა.

# ახალი ამბები

● დნეპროპეტროვსკი, 15 აგვისტო. სსრ კავშირის მძლეოსანთა წლევანდელი პირადი პირველობა ისე დამთავრდა, რომ არც ერთი საკავშირო რეკორდი არ გაუმჯობესებულა. მართალია, ხუთჭიდელთა ასპარეზობისას ტ. შჩელკანოვა სამჯერ გადახტა თავისივე საკავშირო რეკორდზე (671) შორს, რომელთაგან ორი მსოფლიო რეკორდსაც აღემატებოდა, მაგრამ ქროდა ცვალებადი სიძლიერის ზურგქარი და რეკორდი არ ჩათვალეს. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ასპარეზობაზე მყოფმა სინოპტიკებმა დაამტკიცეს, რომ შჩელკანოვას ერთ-ერთი ნახტომის შესრულებისას (გადახტა 673 სანტიმეტრზე) ქარის სიძლიერე არ აღემატებოდა 2 მეტრს წამში. ამდენად, ეს შედეგი სსრ კავშირის ახალ რეკორდად დამტკიცდება.

● ვარშავა, 15 აგვისტო. პოლონეთის დედაქალაქის სპორტკლუბ „ლეგიას“ 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ესტაფეტები 4 × 100 მეტრზე მაღალი შედეგით დამთავრდა. ქალთა შორის თავი მასპინძლებმა ისახელეს. პოლონელთა კვარტეტმა ბედნარეკის, კოლეიბას, კირშენშტეინისა და კლობუკოვსკას შემადგენლობით 44,7 აჩვენა. სამაგიეროდ, ვაჟებში გდრ-ის ათლეტებმა იმარჯვეს — 39,8.

ბორდო, 15 აგვისტო. საფრანგეთის მოცურავეთა შეჯიბრებაში კ. მანდონომ ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა: გოგონამ 200 მეტრი თავისუფალი სტილით 2.15,5-ში გაცურა. ძველი რეკორდი — 2.16,1 ინგლისელ ე. ლონგს ეკუთვნოდა.

● კინგსტონი, 15 აგვისტო. ბრიტანულ თამაშებში მოცურავეთა ასპარეზობისას 15 წლის ი. ტენიმ ოქროს მეოთხე მედალი მოიპოვა. ამჯერად მან მოიგო 440 იარდზე კომპლექსური ცურვა და თამაშების რეკორდი დაამყარა — 5.26,3. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ი. ტენი მეხიკოს ოლიმპიადაში ერთ-ერთი უძლიერესი იქნება.

● ლუქსემბურგი, 15 აგვისტო. მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოსწინა XIII ეტაპი 500-იანებისთვის ამ ქალაქის ტრასაზე ჩატარდა. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა პ. ფრიდრიხსმა (გდრ). დემოკრატიული გერმანიის სახალხო პოლიციის ოფიცერმა წლევანდელ ჩემპიონატში ამით მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა და მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა.

● ლენინგრადი, 15 აგვისტო. კოსმონავტ ი. გაგარინის სახელობის პრიზზე გამართულ წყლის მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებაში მოსკოველი ი. ფალინი ტრამპლინიდან 34,5 მეტრზე გადახტა და 3,5 მეტრით გააუმჯობესა საკავშირო მიღწევა. მანვე მოიგო სლალომი ცალ თხილამურზე.

● ბუდაპეშტი, 15 აგვისტო. ზუსტად 2 კვირის შემდეგ აქ დაიწყება ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. როგორც ცნობილი გახდა, სტარტზე გამოვლენ კონტინენტის 30 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები. უნგრულმა გაზეთმა „ნეპ შპორტმა“ მოაწყო სპეციალისტთა გამოკითხვა — „ვინ მიაჩნიათ ჩემპიონატის ფავორიტებად“. ყველამ ერთხმად აღიარა: სსრ კავშირი!

● სანტა-მონიკა, 16 აგვისტო. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დასკვნითი, XVIII ტურის წინ მოეწყო ნაიდორფ—პეტროსიანისა და რეშევსკი — ლარსენის გადადებული პარტიების დამთავრება. მსოფლიო ჩემპიონმა შესანიშნავად გამოიყენა თავისი პოზიციის მცირე უპირატესობანი და ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ, 74-ე სვლაზე გაიმარჯვა. პარტია მოიგო ბ. ლარსენმაც, ამ წარმატებით ტ. პეტროსიანმა (8,5) გადაინაცვლა VI, ხოლო ბ. ლარსენმა (9,5) — III ადგილზე.

# ყოველი მხრიდან

### ბრასას ორმაგი სიხარული

ოფიციალური საზეიმო მიღება, რაც პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ მოუწყო ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს, ფეხბურთელთა, სპორტულ მოღვაწეთა და გულშემატკივართა ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ყველაზე მეტად კი ნახევარმცველი გრასა მხიარულობდა. იგი თითქმის ხტოდა სიხარულით და კოცნიდა ყველა თავის კოლეგას ეუსებიოდან დაწყებული მეკარე პერეირამდე.

როცა პორტუგალიელების მწვრთნელს ოტო გლორიას ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, რატომაა გრასა ყველაზე მეტად გახარებულიო, მან უპასუხა: — ო, მას ორმაგი მიზეზი აქვს ამ სიხარულისა, თუმცა, მალე ყველაფერს შეიტყობთ გაზეთებიდან“.

მართლაც, ზუსტად მესამე დღეს გამოქვეყნდა ცნობა, რომ პორტუგალიის ცნობილმა კლუბმა „ბენფიკამ“ (პორტუგალიის ნაკრები არსებითად ამ გუნდის მოთამაშეებისაგან შედგა), როგორც იქნა, დაამთავრა ვაჭრობა კლუბ „ვიტორია-სეტუბალთან“, სადაც გრასა თამაშობს და იყიდა ეს ფეხბურთელი, „გაითვალისწინა რა მისი წარმატება ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატზე“. ცნობილი გახდა ისიც, რომ „ბენფიკა“ გრასასათვის იხდის საკმაოდ სოლიდურ თანხას — 150 ათას დოლარს. აქედან მეოთხედი თვად ფეხბურთელს ეკუთვნის. ამას გარდა, „ბენფიკამ“ „ვიტორია-სეტუბალს“ უნდა დაუთმოს თავისი მეორე გუნდის სამი მოთამაშე.

### პოლიცია რომ არა...

ათი ქვეყნის 20-ზე მეტმა მოცურავემ (ქალებმაც და ვაჟებმაც) მიიღო მონაწილეობა მარათონულ ცურვაში კაპრიდან ნეაპოლამდე. ეს ასპარეზობა ყოველ წელს ტარდება. შეჯიბრების დებულებით, სპორტსმენებმა უნდა გადაცურონ 33 კმ, მიუხედავად ღელვისა და „სხვა დაბრკოლებებისა“.

წლეულს ეს „სხვა დაბრკოლებები“ განსაკუთრებით სერიოზული აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ასპარეზობის ადგილებში ზვიგენი იცის. ამჯერადაც, როგორც კი სტარტი აიღეს, მოცურავეებს მაშინვე დაედევნა ოთხი უზარმაზარი მტაცებელი. კიდევ კარგი, რომ იქვე ახლოს იყო სწრაფმავალი მოტონავი შეიარაღებული პოლიციელებით. მათ ცეცხლი გახსნეს და ცდილობდნენ ზვიგენები დაეფრთხოთ. თითქოს მარჯვედ იბრძოდნენ, მაგრამ სამი სპორტსმენი მაინც გახდა იძულებული ასპარეზობა შეეწყვიტა და ნავისთვის შეეფარებინა თავი. შეჯიბრებას გამოეთიშა კიდევ ერთი მარათონელი, რომელსაც დელფინები შემოერტყნენ გარს. ამ კეთილმა ცხოველებმა სპორტსმენებთან „თამაში“ მოინდომეს.

ის და დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ მარათონში გაიმარჯვა ჯ. ტრავაგლიომ, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 21 წელი. მან გაუსწრო ეგვიპტელ სპორტსმენს, რომელიც ფავორიტად ითვლებოდა.

შემეძლო კიდევ უფრო სწრაფად მეცურა, მაგრამ ზვიგენების თვალთვალს მოვუნდი. საერთოდ კი, პოლიციელები რომ არა, კარგი დღე არ დაგვადგებოდაო, განაცხადა გამარჯვებულმა.

### ბიჩლი ამნისტიას მოითხოვს

როგორც ცნობილია, ფეხბურთში ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე 47 წლის ინგლისელს ედუარდ ოულტერ ბიჩლის ორი წლის პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ ჟიულ რიმეს თასი მოიპარა და მოითხოვა „გამოსასყიდი“ — 15 ათასი გირვანქა სტერლინგი. ინგლისის გაზეთებმა ეს ცნობა გამოაქვეყნეს და შემდეგ მიივიწყეს ქურდი.

ჩემპიონატის დღეებში მხოლოდ ერთხელ მოჰკრეს ყური, რომ ბიჩლიმ ციხის უფროსს მიმართა საგანგებო თხოვნით, დაერთოთ მისთვის ნება ტელევიზიით ენახა ფინალური მატჩი. მინდა ვნახო, როგორ გადაეცემა გამარჯვებულს ოქროს ქალღმერთი, ჩემი მორალური დაცემის მიზეზით. არავინ უწყის, მართლა ნახა თუ არა ბიჩლიმ ინგლისისა და გფრ-ის ფეხბურთელთა მატჩი, მაგრამ ვიცით, რომ იგი ამ განცხადებით არ დაკმაყოფილდა.

ახლა ინგლისის პრესა წერს, რომ ბიჩლიმ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე და ინგლისის ნაკრების გამარჯვებასთან დაკავშირებით, ამნისტია მოითხოვა. ამას გარდა, პატიმარმა წერილი გაუგზავნა ნაკრების კაპიტანს რ. მურს.

„მე ბევრი მაქვს საერთო თქვენთან, ინგლისელ ფეხბურთელებთან. მეც, ისევე როგორც თქვენ, მინდოდა ჟიულ რიმეს თასი ჩვენს ქვეყანაში დარჩენილიყო. ნუთუ თქვენ, რომელთაც ასე დიდი სიხარული გხვდათ, ერთ-ორ სიტყვას არ შემაწევთ, ასე გაუბედურებულსა და დანაღვლიანებულს? დამეხმარეთ, მიხსენით საპყრობილედან“ — წერს ბიჩლი.

რა უპასუხა ოქროს ქალღმერთის ქურდს მურმა, ჯერჯერობით არ ვიცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის პირველობა

# ქიქავას ორი ბურთი

**„ა" კლასი II ჯგუფი**

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 16 აგვისტო.

„დინამო" (ბათუმი) — „დაუგავა" (რიგა) 2:0 (0:0).

„დინამო": კვახაძე, გიორგიადი, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, ილურიძე, ვერულიძე, შაფათავა გიორგაძე, ქიქავა (კონიაშვილი), როგავა.

„დაუგავა". ლაიდანი, ტრუსოვი (სტრაუმე), ზალიკისი, რიჟკოვი, ბონდარევი, პეტროვსკი, ანჯანსი, ულმანისი, სმირნოვი, გალისი, გრიგორიევი.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:0 „დაუგავას" სასარგებლოდ.

რიგის ფეხბურთელები წელს წარმატებით გამოდიან ქვეჯგუფში და ლიდერთა შორის იმყოფებიან. მატჩის დასაწყისში ბათუმელებს მათთან თანაბარი ბრძოლა ჰქონდათ, შემდგომში კი მასპინძლებმა თანდათან უმატეს ტემპს და ტაიმის დასასრულამდე არ გაუშვიათ ინიციატივა ხელიდან.

კიდევ უფრო უკეთესად ითამაშეს ბათუმელებმა შესვენების შემდეგ. შაფათავამ დასაწყისშივე განახორციელა ორი გარღვევა, რომელთაგან პირველის ლიკვიდირება შეძლო მეკარემ, ხოლო მეორედ ბურთი გადაეცა ილურიძეს, ქიქავას და... რიგელთა კარი აღებულ იქნა — 1:0.

56-ე წუთზე იმავე ქიქავამ საუკეთესოდ გამოიყენა „დაუგავას" დაცვის შეცდომა, დაეუფლა ბურთს, სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და აქ მისი დაკავება უკვე აღარავის შეეძლო—2:0.

სტუმრები ბევრს ეცადნენ წაგებული მატჩის ხსნას, მაგრამ დინამოელთა დაცვა მოქმედებდა საიმედოდ და უშეცდომოდ. ბათუმელებმა მოიპოვეს მეტად საჭირო გამარჯვება ძლიერ მოწინააღმდეგეზე.

ვ. მოსეშვილი.
(ჩვენი კორ.).

# 2:0 და... 2:3

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 16 აგვისტო.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 2:3 (2:2).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, იაშვილი, მირიანაშვილი, ფრიდმანი, გოგია, ძაგანია, მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი (გვაშელი), კოშკელოვი.

„ბალტიკა". ამერსკი, აზოროვი, რაკიტინი, ზახაროვი, ალექსანოვი, ვ. სოლოვიოვი, აგაპოვი, დვორცოვი, კოზლიუკი, ი. სოლოვიოვი, იურინი.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

დუბლიორები — 3:1. „ბალტიკის" სასარგებლოდ.

რა ჭირდება გუნდს მატჩის მოსაგებად, როცა მე-9 წუთისთვის იგი წინაა ანგარიშით 2:0? არც ერთი წუთით არ შეიძლება ყურადღების მოდუნება, მოწინააღმდეგის შეუფასებლობა და ტემპის შენელება. თბილისის „ლოკომოტივმა" კი შეძლო ის, რაც ძნელი შესაძლებელია: დასაწყისი მოიგო 2 ბურთის სხვაობით, მერე უცებ ჩააბარა მეტოქეს ინიციატივა და საბოლოოდ დამარცხებულმა დატოვა მინდორი.

ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა კაიშაურმა ძაგანიას მოწოდებიდან, ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ ძაგანიამ კარგად დაამთავრა ახალკაცის ნიერ წამოწყებული კომბინაცია — 2:0.

თითქოს ყველაფერი მიმდინარეობდა ისე, როგორც ლოკომოტიველებს უნდოდათ, მაგრამ მცირე ხანს შემდეგ მათს კართან დანიშნულ იქნა კუთხური. მეკარე გრძელიშვილმა ვერ გამოიანგარიშა თავისი გამოსვლა კარიდან და საშუალება მისცა სტუმრებს გაეტანათ ერთი ბურთი — 1:2.

25-ე წუთზე გრძელიშვილმა დაუშვა მეორე, კიდევ უფრო სერიოზული, უხეში შეცდომა. იგი წინ იყო გამოსული, როცა რაკიტინმა თითქმის 50 მეტრის მანძილიდან დაარტყა კარში. მეკარე მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ბურთმა მას ზევიდან გადაუარა—2:2.

მდგომარეობის ხსნა შეიძლებოდა მეორე ტაიმში, მაგრამ „ბალტიკა" თამაშობდა ძალზე რაციონალურად, მოფიქრებულად, თბილისელები კი ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და ქაოტიურად მოქმედებდნენ. ყველაფერი გადაწყდა 68-ე წუთზე, როცა კოზლიუკმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში და გრძელიშვილი კვლავ არ აღმოჩნდა ადგილზე. „ლოკომოტივმა" მორიგი მარცხი განიცადა — 2:3.

რ. ქორიძე.






საქართველოს დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით აბიტურიენტი აბარებს მისაღებ გამოცდებს. ვინ უნივერსიტეტს მიაშურა, ვინ — პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ბევრმა სასოფლო-სამეურნეო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, უცხო ენებისა და პედაგოგიურ ინსტიტუტებს მიაკითხა. ხალხმრავლობაა ფიზკულტურის ინსტიტუტშიც. პირველ სექტემბერს კი მხოლოდ რჩეულები შეაღებენ უმაღლესი სასწავლებლის კარს.

ს უ რ ა თ ზ ე: მისაღები გამოცდა ფიზკულტურის ინსტიტუტში. მძლეოსნობის კათედრის მასწავლებელს ა. ხუციშვილს (დგას) გამოცდას აბარებს ლ. კაკიაშვილი. აღსანიშნავია, რომ კაკიაშვილმა, რომელიც მომავალში კალათბურთის სპეციალისტი უნდა გახდეს, კარგად ჩააბარა გამოცდა მძლეოსნობაში და მიიღო უმაღლესი შეფასება — 5.

ფოტო ვ. მორგუნოვისა.

### უცხოეთის ამბები

# ბრაზილიის ნაკრები დაიშალა

დასავლეთ ევროპის პრესის ცნობით, ბრაზილიაში გამოცხადდა ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და მისი ტექნიკური კომისიის დაშლის ამბავი. ახალი გუნდი შეიქმნება მხოლოდ 1968 წელს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრაზილიელები უარს იტყვიან სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე. ფიქრობენ, რომ ასეთ შეხვედრებში მეტწილად საკლუბო გუნდები გამოვლენ.

როგორც ცნობილია, კანადის ქალაქი მონრეალი აწყობს ფეხბურთელთა დიდ ტურნირს, რომელშიც პერსონალურად არიან მიპატიჟებული ინგლისის, სსრ კავშირის, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები კოლექტივები. თუ ორგანიზატორებმა დროზე არ იღონეს რამე, ტურნირს ჩაშლა ემუქრება.

ამ ტურნირის საწინააღმდეგოდ არგენტინას განზრახული აქვს თავის ქვეყანაში მიიწვიოს ბრაზილიის, ესპანეთის, იტალიისა და პორტუგალიის გუნდები. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ განზრახვაა. როგორც ჩანს, ყველაფერი სექტემბრის პირველ რიცხვებში გადაწყდება, როდესაც სათათბიროდ შეიკრიბებიან ლათინური ამერიკის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელები.

# „დამარცხებულთა მორალური გამარჯვება"

ბელგრადის გაზეთ „სპორტში" დაიბეჭდა მ. პუდარის წერილი სათაურით „თასის საწინააღმდეგო აქცია", რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „არგენტინელები ბუენოს-აირესში მიიღეს, როგორც მსოფლიო ჩემპიონები". მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ წერილში ლაპარაკია ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ. არგენტინის გულშემატკივრებმა, რომლებიც ტემპერამენტითა და ფეხბურთის სიყვარულით არ ჩამორჩებიან არც ბრაზილიელებს და არც ცნობილ იტალიელ „ტიფოზებს", ინგლისის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაურკვეველი პოზიცია დაიკავეს. ისინი ყოველნაირად ამართლებენ თავიანთ ეროვნულ ნაკრებს და მას მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად მიიჩნევენ.

როგორც ცნობილია, არგენტინა-ინგლისის მეოთხედფინალურ მატჩში დასავლეთგერმანელმა მსაჯმა კრაიტლაინმა მართლაც უსაფუძვლოდ გააძევა მინდვრიდან არგენტინელთა კაპიტანი რატინი. მაგრამ განა შეიძლება მსაჯის ამ შეცდომას (სხვათა შორის კრაიტლაინმა საბოლოო ჯამში აღიარა თავისი შეცდომა. მან განაცხადა, რომ რატინის მომართვა, მისთვის გაუგებარ ენაზე, ლანძღვის სიტყვებად მოესმა) ასეთი დიდი მნიშვნელობა მივაწეროთ? არგენტინელი ფეხბურთის მოყვარულები, როგორც ჩანს, ჟურნალისტების გაზვიადებული მსჯელობის ტყვეობაში მოექცნენ.

ასეა თუ ისე, არგენტინის ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა, როგორც გამარჯვებული. აი, რას წერს ამის თაობაზე მ. პუდარი: „ბუენოს-აირესის აეროპორტში თავი მოიყარა 40 ათასმა გულშემატკივარმა. ზღვა ხალხი არ შეუშინდა იმას, რომ აეროპორტი ქალაქიდან 32 კილომეტრითაა დაშორებული". ინგლისიდან დაბრუნებულებს აღტაცების შეძახილებით მიესალმენ.

შემდეგ კორესპონდენტი განაგრძობს: „შეიქმნა გრძელი, ცოცხალი დერეფანი, რომელშიც უნდა გაევლოთ ფეხბურთელებს. ნაკრების კაპიტანს რატინს შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირს. იგი აიტაცეს ხელში და ასე გაატარეს ურიცხვი მაყურებლის წინაშე. ფეხბურთელებს თვითმფრინავიდან მანქანებამდე მისასვლელად 45 წუთი დასჭირდათ. ხალხი კი გაჰკიოდა: არგენტინა ჩემპიონია, არგენტინა ჩემპიონია!"

მეორე დღეს გაზეთები აჭრელებული იყო ასეთი სათაურებით: „დამარცხებულთა მორალური გამარჯვება", „ჩვენთვის ჩემპიონატი არ დამთავრებულა", „სირცხვილი ჩემპიონატის ორგანიზატორებს". არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალურად ჯერ არაფერი განუცხადებია. როგორც ჩანს, იგი ელოდება სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციების გაერთიანებულ სხდომას. ისე კი დაბეჯითებით დადის ხმები, რომ ლათინური ამერიკა მოითხოვს ჩემპიონატის შედეგების გადასინჯვას, ფიფა-ს შემადგენლობის გადახალისებასა და სხვა „კონსტრუქციული" ღონისძიებათა ჩატარებას.

# „ნეიტრალურ" ჟურნალისტთა აზრით

ფეხბურთელთა მსოფლიოს VIII ჩემპიონატზე აკრედიტებულმა იუგოსლაველმა ჟურნალისტებმა შეადგინეს მსოფლიოს 2 იდეალური ნაკრები — „ა" და „ბ". ანკეტაში მონაწილეობა მიიღეს „ნეიტრალურმა ჟურნალისტებმაც" (იმ ქვეყნების მიმომხილველებმა, რომელთა გუნდები ინგლისის ჩემპიონატში არ გამოდიოდნენ). ეს ანკეტა შემდგენელთა აზრით, ყველაზე ობიექტურია, რადგან მასში არც ერთ დაინტერესებულ ჟურნალისტს არ მიუღია მონაწილეობა. აი, როგორი უნდა იყოს მათი აზრით მსოფლიოს 2 უძლიერესი გუნდი.

**„ა" ნაკრები** — იაშინი (სსრ კავშირი), სანჩისი (ესპანეთი), უილსონი (ინგლისი), ვორონინი (სსრ კავშირი), შულცი, ბეკენბაუერი (ორივენი — გფრ-დან), ბოლი (ინგლისი), ეუსებიო, ტორესი (ორივენი — პორტუგალიიდან), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), მასი (არგენტინა).

**„ბ" ნაკრები** — ბენქსი (ინგლისი), კაპოსტა (უნგრეთი), მარზოლინი (არგენტინა), ლიმა (ბრაზილია), ტროჩე (ურუგვაი), მური (ინგლისი), ბენე (უნგრეთი), იაკიმოვი (ბულგარეთი), არტიმე (არგენტინა), ჰელდი (გფრ), სიმოესი (პორტუგალია).

# ჭაბუკი რადისტის წარმატება

ფსკოვში გამართულ სსრ კავშირის რადისტთა ჩემპიონატში თავი ისახელა თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლემ, 14 წლის ვ. ოგრიზკოვმა. თბილისელი მრავალჭიდელთა ასპარეზობაში კარგად გამოვიდა და პრიზიორი გახდა.

ვ. ოგრიზკოვმა, როგორც ჩემპიონატის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, დაიმსახურა ფსკოვის ახალგაზრდული საოლქო გაზეთ „მოლოდოი ლენინეცის" სპეციალური ჯილდო.

ე. ალექსანდროვი.

ქ. ფსკოვი.

## ავტომობილისტთა ფორუმზე

არასდროს ყოფილა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმდენი ოფიციალური ჩემპიონატი, რამდენიც წელს. ამას წინათაც, გფრ-ის ქალაქ ფრაიბურგში დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება ავტოსპორტში.

შეჯიბრებაში ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა წამყვანი ავტომობილისტი მონაწილეობდა. საკმარისია ითქვას, რომ ტურნირში გამოდიოდა ევროპის სხვადასხვა დროის 10 ჩემპიონი, რომელთა შორის რამდენიმე მსოფლიო პირველობის პრიზიორიც ყოფილა. ასპარეზობამ ავტოსპორტის ბევრი მოყვარულიც მიიზიდა. იყვნენ ტურისტები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ბელგიიდან, დანიიდან.

ჩემპიონის ტიტული („პორშეს" მარკის ავტომანქანაზე) მოიპოვა გფრ-ის წარმომადგენელმა მიტერმა. II ადგილი წილად ხვდა გასული წლის ჩემპიონს იტალიელ სკარფიოტის, ხოლო III — გრეგერს (გფრ).

## მედლები ოლიმპიადისთვის

მიუნჰენის XX საიუბილეო ოლიმპიურ თამაშებამდე 6 წელია დარჩენილი. ამის მიუხედავად, ორგანიზატორები უკვე შეუდგნენ საქმიან სამზადისს. ამას წინათ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა ერთ-ერთ გერმანულ საიუველირო ფირმას შეუკვეთა ოქროსა და ვერცხლის მედლები. პრიზებზე გამოსახული იქნება ოლიმპიური ემბლემა და ქალაქ მიუნჰენის სიმბოლო.

გარდა ზემოდასახელებულ მედლებისა, ოლიმპიადაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცემათ სამახსოვრო მედალი — გიგანტი (წონით — 175 გრამი).



▲ დიუსელდორფი. ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი გამოიწვია დიუსელდორფის „ფორტუნას" და სოფიის „ლოკომოტივის" შეხვედრამ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

▲ ბ ე რ ლ ი ნ ი. ნიჩბოსნობაში მსოფლიოს VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ კანოისტთა ტურნირში, რომელიც 19-25 აგვისტოს ჩატარდება, გამოვა 25 ქვეყნის 300-ზე მეტი ნიჩბოსანი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-98-81.